ვიდეოსაშუალებების გამოყენება სასწავლო პროცესსა და კონსალტინგში

DOI - 10.36962/ecs105/9-10/2022-152

ჟანა თოლორდავა
ეად, თსუ-ის იმიტაციური მოდელირების
საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის
მეცნიერ-ხელმძღვანელი

რეზიუმე

დისტანციურ სწავლებაში ინტერნეტის საშუალებით უკვე დიდი ხანია იყენებენ რეალური დროის რეჟიმში ე.წ. ფრონტალურ ვიდეოლექციებს, სემინარულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს ვიდეოკონფერენც-კავშირის ტექნოლოგიის გამოყენებით. მაგრამ სასწავლო ვიდეოფილმები, ვიდეოტრენინგები, ვიდეოფირები - ეს არის სწავლების შედარებით ახალი ფორმა, რომელიც შეიძლება გახდეს შეუცვლელი საშუალება და, მიუხედავად ამისა, მათ ჯერ არ უკავიათ სათანადო ადგილი უმაღლესი სკოლის დიდაქტიკურ სისტემაში.

რაც შეეხება სასწავლო ვიდეოფილმს, ვიდეო ტრენინგს, ვიდეოფირს, მასზედ აღბეჭდილი საქმიანი თამაშის ჩანაწერით, მათი შესაძლებლობანი დიდია. პირველ ყოვლისა ეს ის თვისებებია, რომლებიც საერთოდ ახასიათებს სასწავლო ვიდეოფილმს:ტექნიკურ-ინფორმაციული, საკომუნიკაციო-სოციალური, ესთეტიკური.

ვიდეოფილმს შეუძლია ასახოს დოკუმენტური და კვლევითი მასალები, რომლებიც მიღებულია კინო, ფოტო და ვიდეოჩანაწერის საშუალებით. ეს რა თქმა უნდა მეტ შესაძლებლობას იძლევა სწავლებისას, ვინაიდან ამ შემთხვევაში ხდება

რეალური ობიექტის, სისტემის დემონსტრაცია, რომელიც აცნობს სტუდენტებს სისტემაში არსებულ პრობლემებს, წარმოების ორგანიზაციას და ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებას, რაც ხელს უწყობს არა მარტო ცოდნის გადაცემას, არამედ უვითარებს სტუდენტებს პრობლემის დანახვისა და შეფასების ჩვევებს.

საკვანძო სიტყვები: ფრონტალური ვიდეოლექცია, ვიდეოკონფერენც-კავშირის ტექნოლოგია, ვიდეოფილმები, ვიდეოტრენინგები, ვიდეოფირები.

შესავალი

დღეს უმაღლეს სკოლას მოეთხოვება სწავლებისადმი ახალი მიდგომების დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული, საკომუნიკაციო და შემოქმედებითი უნარების განვითარების გარანტიას.

ვიდეოჩანაწერებს, სადაც ასახულია კონკრეტული სიტუაციის გარჩევა (ვიდეოკეისი) და საქმიანი თამაშების ჩატარება, აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან სტუდენტებს მათი მომავალი პროფესიული საქმიანობის გაცნობის საშუალებას აძლევს. სწორედ ვიდეოფირზე სტუდენტების მონაწილეობით ჩაწერილი საქმიანი თამაშის მაგალითზე გადაღებული ვიდეომასალის შემდგომი გარჩევით, თამაშის მონაწილეებს შეუძლიათ შეაფასონ მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი, იმისათვის, რომ შემდგომში პრაქტიკაში (ანალოგიურ სიტუაციაში) არ დაუშვან შეცდომები და მიიღონ სწორი გადაწყვეტილება.

ვიდეოფილმის ასეთი მრავალმხრივი შესაძლებლობების გამოყენება მის მხატვრულ კომპონენტებთან ერთად (რეჟისურა, სცენარი) სტუდენტების მომზადების ერთობლივ პროცესში, ხელს უწყობს სწავლებისა და აღზრდის ორგანულ შერწყმას. სტატიაში მოტანილი ვიდეოსაშუალებების გამოყენების გამოცდილება, ავტორს შესწავილი აქვს სხვადასხვა ქვეყნებში ვიზიტით ყოფნისას.

ძირითადი ტექსტი

უდიდესი როლი ენიჭება ვიდეოფილმებსა და ვიდეოჩანაწერებს მართვის პერსონალის, ბიზნესმენების მომზადებაში. აღსანიშნავია, რომ ისეთი საგნები, როგორიცაა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, საქმიანი კომუნიკაციები, შრომის სოციოლოგია ეკითხებათ სტუდენტებსა და დამწყებ ბიზნესმენებს სპეციალური ვიდეოფილმების გამოყენებით [1].

საფრანგეთში ვიდეოფილმების დიდი ნაწილი ეთმობა სახელმწიფო მოხელეების შერჩევის პროცედურებს. აქ დიდი ყურადღება ექცევა მათ პოლიტიკურ შეხედულებებს, არსებული რეჟიმისადმი "ლოიალობას" და პიროვნების მორალურ მხარეს. საკონკურსო გამოცდების დროს სპეციალობის ცოდნის გარდა მოხელეებს ამოწმებენ ზოგადი კულტურის საკითხებში. ამ პროცედურის ამსახველი კადრებია ინტერვიუს ჩატარება კანდიდატების "ადამიანური თვისებების დადგენის" მიზნით.

ნანტის უნივერსიტეტში (საფრანგეთი) მენეჯმენტის კურსის გავლისას იყენებენ დოკუმენტურ ვიდეოფილმებს, სადაც დეტალურად არის განხილული რომელიმე ფირმის აყვავების ან გაკოტრების ეტაპები, რასაც თან ახლავს ფირმის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღების ან პირიქით, შეცდომების დაფიქსირების მომენტები, სათანადო ანალიზითა და დასკვნით, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ფირმის ხელმძღვანელობა. არის ვიდეოფილმები, სადაც ნაჩვენებია ფირმის დაარსების ისტორია, შესაბამისად მართვის პრობლემების ანალიზით მისი განვითარების ყველა ეტაპზე. პირები, რომლებიც მართავდნენ ფირმას გამოდიან მაყურებლების წინაშე ინფორმაციით, თუ როდის რა სირთულეები გაუჩნდა ფირმას და როგორ ხდებოდა ამ სიძნელეების გადალახვა, პრობლემების გადაჭრის რამდენი შესაძლო ვარიანტი არსებობდა და რატომ შეარჩია ამა თუ იმ ხელმძღვანელმა სწორედ ის, რომელმაც წარმატება მოუტანა ფირმას [2].

გერმანიაში, კობლენცის უნივერსიტეტში მენეჯმენტის შესწავლისას ფართოდ გამოიყენება ვიდეოფილმები, სადაც ასახულია მენეჯერების ან ფირმის პერსონალის შერჩევის პრო-

ცედურები. აქ მოცემულია შერჩევის რამოდენიმე ეტაპი: კანდიდატთა კარიერის მიღწევების საფეხურები; მათი საქმიანობის ფრაგმენტები, თუ რა ხერხებით აღწევდნენ ისინი წარმატებებს ფირმის ეფექტიან ფუნქციონირებაში; კანდიდატთა პროფესიული დონის დადგენა, რისთვისაც მათ ეძლევათ კონკრეტული საწარმო სიტუაციები, სადაც მოცემულია გადაწყვეტილების მიღების მრავალი ვარიანტი და შესარჩევია ყველაზე ხელსაყრელი.

ჰოლანდიაში, უტრეხტის უნივერსიტეტში სოციოლოგიის ფაკულტეტზე შექმნილია მთელი რიგი ვიდეოკეისებისა, რომლებიც ასახავენ პიროვნების სოციალურ ადაპტაციას, წარმოების სოციალური რეზერვების ძიებისა და მათი გამოყენების გზებს, ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას, სოციალური დაცვის მექანიზმის მოქმედებას და სხვა.

იტალიაში, რომის უნივერსიტეტში ფართოდ იყენებენ ვიდეოფილმებს, სადაც ასახულია საქმიანი თამაშების ჩატარების პროცედურა, მისი მსვლელობისა და გადაწყვეტილების მიღების გაანალიზებით. აქ ძალიან გავრცელებულია აგრეთვე სასწავლო ვიდეოფილმები ეკოლოგიური პრობლემების თემატიკის საქმიანი თამაშებით.

უნდა აღინიშნოს, რომ რომის "La Sapienza"-ს უნივერსიტეტს აქვს ტექნიკური საშუალებების და საქმიანი თამაშების უმდიდრესი ბაზა. აქ არის საუნივერსიტეტო ტელევიზია, სასწავლო ვიდეოფილმებისა და ვიდეოტრენინგების რედაქცია და საქმიანი თამაშების აუდიტორიები [3].

ვიდეოტრენინგების გამოყენებით სტუდენტებს ეძლევათ საშუალება უყურონ ვიდეოებს, სადაც წამყვანი ხსნის კურსის მასალას, რომლის მოსმენის შემდეგ სტუდენტები ასრულებენ ამავე თემის ინტერაქტიულ სავარჯიშოებს, რომელიც მთავრდება პრობლემის გარჩევით ჯგუფური დისკუსიის სახით. ყოველივე ეს ხელს უწყობს საგნის ღრმად შესწავლასა და დამახსოვრებას [4].

დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონსალტინგური სამსახურების ფუნქციონირების თემატიკის ვიდეფილმებს, კერძოდ,

საინვესტიციო კონსალტინგის სხვადასხვა ასპექტებს, როგორიცაა ფანდრაიზინგი, ანუ ინვესტირების წყაროების მოძიება ფირმებსა და ორგანიზაციებში საწარმოო, ტექნოლოგიური, ფინანსური პოტენციალის ზრდის საქმეში დახმარების გაწევის მიზნით.

ასევე აღსანიშნავია ვიდეოფილმები კონსალტინგის შემდეგი მიმართულებით:

- საინვესტიციო რესურსების დაბრუნების, ინვესტორის ინტერესების დაცვის, გარანტიების უზრუნველყოფის დასაბუთება და შემუშავება;
- ინვესტიციების ალტერნატიული მიმართულებების ეფექტიანობის ანალიზი;
- რეკომენდაციები დაფინანსების რაციონალური ვარიანტის შესახებ, ესენია კრედიტის მიღება, აქციონერული კაპიტალის გაზრდა, კაპიტალის არსებული სტრუქტურის შეცვლა, ობლიგაციების გამოშვების ორგანიზაცია.

ფრიად მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს ვიდეოფირზე გადაღებული კონსალტინგის პროცედურის იმიტირება ეკონომოკისა და სახელმწიფო ადმინისტრირების დარგში, სადაც განიხილება სამთავრობო გადაწყვეტილებები. წამყვანი აკეთებს კომენტარს იმის შესახებ თუ რა მასშტაბები მიიღო საზოგადოების უკმაყოფილებამ მიღებული კანონების, პროგრამებისა და ცალკეული გადაწყვეტილებების გამო. ამ შემთხვევაში სხვადასხვა დარგის კონსულტანტ-ექსპერტები საკუთარი პროფესიული კომპეტენციიდან გამომდინარე ცდილობენ ცოდნის ცალკეული სფეროები დაუკავშირონ არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მაკრო და მიკროეკონომიკურ დონეზე. ფაქტობრივად ისინი აანალიზებენ მთავრობის მიერ გადაწყვეტილებებს და სთავაზობენ არსებული სიტუაციის მოგვარების კონკრეტულ გზებს. სიუჟეტის წამყვანი, ამ მაგალითის გამოყენებით ხაზს უსვამს სამთავრობო დონეზე კონსალტინგის ფუნქციონირების მნიშვნელობას ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და მთავრობის რეიტინგის ამაღლების საქმეში.

საქართველოს გამოცდილება ვიდეოსაშუალებების შექმნა-გამოყენებაში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიული მეთოდების ცენტრში პირველად საქართველოში ეკონომიკურ მეცნიერებაში გამოყენებულ იქნა ჯერ ელექტროგამომთვლელი მანქანა, შემდეგ კი კომპიუტერები (ხელმძღვანელი ჟ. თოლორდავა). აქ შეიქმნა ვიდეოფილმების ციკლი სახელწოდებით "სტუდენტები თამაშობენ," რომელსაც საფუძვლად უდევს საქმიანი თამაშები: "მდგრადი განვითარება" (ავტ. დ. ქავთარაძე), "შრომის ნაყოფიერების ამაღლება საწარმოში", "პრეტედენტთა შერჩევა თანამდებობაზე", "კონფლიქტი" (იმიტაციების ავტორი ჟ. თოლორდავა. თსუ).

ვიდეოფილმი, რომელიც დამონტაჟდა საქართველოს ტელევიზიის მიერ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ვ.კაჭარავას მოთხოვნით გადაღებული 1,5 საათიანი გადაცემის მასალების საფუძველზე, წარმატებით დემონსტრირებულ იქნა გარემოს დაცვისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე, ასევე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში საეთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციებზე და დაიმსახურა მაღალი შეფასება.

ვიდეოფილმს საფუძვლად უდებს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ დიმიტრი ქავთარაძის საქმიანი თამაში "საკოორდინაციო კომისია" [3]. თამაშში მონაწილეობენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები, რომლებიც განიხილავენ კონკრეტულ სიტუაციას: პირობითად განვითარებად რეგიონში განლაგებულია მრავალი სამრეწველო-ინდუსტრიული ობიექტი: რეგიონის მთავარი საარსებო და ამავდროულად ეკოლოგიის თვალსაზრისით დამაბინძურებელი წყარო. თამაშში იმიტირებულია გადაწყვეტილების მიღების რთული პროცედურა, რომელიც ეკისრებათ თამაშის მონაწილეებს, სხვადასხვა თანამდებობის პირების როლის შემსრულებლებს, ვისაც რეალურ ცხოვრებაში ევალებათ ამ პრობლემების მოგვარება. მათი ამოცანაა - რეგიონის განვითარების მაქსიმალურად ხელსაყრელი ვარიანტის შერჩვა მისი

სამეურნეო და გარემოს დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. ვიდეფილმში ნაჩვენებია დისკუსია, განვითარების ვარიანტების გადარჩევის პროცედურა, სადაც რეგიონის ხელმძღვანელობის, ინდუსტრიალური განვითარების მომხრეებსა და ეკოლოგებს შორის არსებობს დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია. საბოლოოდ ირჩევა ყველაზე მისაღები ვარიანტი: ეკონომიკურად რაციონალური და ეკოლოგიურად დასაშვები.

ვიდეოფილმში "შრომის ნაყოფიერების ამაღლება საწარმოში" მონაწილეობს სამი გუნდი, სადაც მოთამაშეებს უნაწილდებათ "როლები", რომლების მიხედვით ისინი ასრულებდნენ გარკვეული საწარმოო რგოლის მუშაკის ფუნქციებს. მათ ეძლევა დავალება: ჩამორჩენილი საწარმოს მაგალითზე, მის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების გაანალიზების შედეგებზე დაყრდნობით, იმ ღონისძიებათა დასახვა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ შრომის მწარმოებლურობის ზრდას. შესაბამისად ყველა ფაქტორის მიხედვით ხდებოდა მოსალოდნელი ეფექტის გაანგარიშება. ფილმი მთავრდება ცალკეული ჯგუფების მიერ შემუშავებული პროექტების "დაცვით", „არბიტრაჟის" მიერ წარდგენილი პროექტების საბოლოო ანალიტიკური შეფასებითა და გამარჯვებული გუნდის გამოცხადებით.

საქმიანი თამაში "პრეტენდენტის შერჩევა თანამდებობაზე" წარმოადგენს ტიპურ მმართველობით სიტუაციას. აქ მართვის დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე საწარმოს ერთ-ერთი დიდი საამქროს უფროსად სამი პრეტენდენტიდან ერთ-ერთს ირჩევს თვითონ კოლექტივი. სტუდენტებს უნაწილდებათ სათანადო როლები: "პრეტენდენტები", "სოციალურ-ფსიქოლოგიური სამსახური", "ექსპერტები", "საარჩევნო კომისია" და "კოლექტივი". პრეტენდენტებს ეძლევათ სხვადასხვა სიტუაციები და კომპიუტერული ექსპერტული სისტემები, სადაც მათ უნდა მიიღონ სწორი გადაწყვეტილება. ეს სიტუაციებია: "წარმოება", "კოლექტივი", "კონფლიქტი". იმარჯვებს პრეტენდენტი, რომელიც აგროვებს მაღალ ქულებს პროფესიულ, საქმიან, ფსიქოლოგიურ და საკომუნიკაციო თვისებებში.

ვიდეოფილმში საქმიანი თამაში "კონფლიქტი", რომე-

ლიც აგებულია რიგის სოციალური ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კვლევების შედეგებზე, მონაწილეობს გუნდებად დაყოფილი სტუდენტთა ჯგუფი. გუნდების ამოცანაა, კონფლიქტის სახის იდენტიფიცირება, შესაბამისად მისი აცილების გზებისა და პროფილაქტიკის შერჩევა, რაც სპეციალური მატრიცაში შეაქვთ. მოთამაშეები გადიან თამაშის ოთხ ტურს, სადაც თითოეული მათგანი ასახავს შესაძლო კონფლიქტს მართვის იერარქიის სხვადასხვა დონეზე (საფეხურზე). თამაში მთავრდება გუნდების "ლიდერების" მიერ მიღებული გადაწყვეტილების "დაცვით" "საკონფლიქტო კომისიის" სხდომაზე. ეს ვიდეოფილმი არის ნათელი დემონსტრაცია იმისა, თუ როგორ შეიძლება სტუდენტებს განუვითარდეს ცხოვრებაში ანალოგიურ სიტუაციაში ქცევის ალგორითმი

დასკვნა

ვიდეოსაშუალებების გამოყენება სოციალურ ფსიქოლოგიაში ითვლება ერთ-ერთ მაღალეფექტიან მეთოდად, რომელიც სხვადასხვა სფეროში წარმატებით გამოიყენება და დაიმკვიდრა სათანადო ადგილი.

ყველა შემთხვევაში სასწავლო ვიდეოფილმები, ვიდეოტრენინგები დ საქმიანი თამაშების ვიდეოჩანაწერების გამოყენება სწავლებაში ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას, გააქტიურებასა და მათი შემეცნებითი მოტივაციის ზრდას.

ვიდეო ტრენინგის პროცესში, სპეციალისტის მიერ დამუშავებული დავალებებისა და სიტუაცია-კეისების საფუძველზე, ადამიანი ეუფლება ურთიერთობების დამყარების ჩვევებს, თავისი საქმიანი პოტენციალის განსაზღვრასა და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევებს.

საქმიანი თამაშების ვიდეოჩანაწერები გამოიყენება, სწავლების ამ მეთოდის ათვისების, გადაწყვეტილების მიღების, დისკუსიის ჩვევების დაუფლების მიზნით.

სასწავლო ვიდეოფილმები, ვიდეოტრენინგები, საქმიანი თამაშების ვიდეოჩანაწერები სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების არსებითი ნაწილია, რომელიც ინტერპერსო-

ნალური ტრენინგისა და გადაწყვეტილების მიღების დროს სტუდენტების ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების დემონსტრირების საშუალებას იძლევა. ეს უკანასკნელი კი საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ახალი გენერაციის კადრების ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟ. თოლორდავა. ბიზნესი. სწავლების იმიტაციური მოდელები და თანამედროვე ტექნოლოგიები. გამომცემლობა"-ლამპარი". თბილისი. 2009

2. ჟ. თოლორდავა. სწავლების ფორმები და მეთოდები უმაღლეს სკოლაში. ჟურნ. „ეკონომიკა №10-12, 2019

3. J. Tolordava, D de Tombe, D.Kavtaradze, G. Panizzi, P. Rizzi, E.Leigh. ტომი II. International Experience in Simulation Modeling: Economics and Business, Ecology, Sociology. Tbilisi. TSU. 2013

4. G.David .10 strategie video per il coinvolgimento degli studenti. 2022 https://dc.wondershare.it/screen-recorder/student-engagement-with-video.html

REFERENCES:

1. J. Tolordava.Business. Simulation Models of Teaching and Modern Technologies, "Lampar" publishing house. Tbilisi. 2009;

2. Zh.Tolordava. Forms and methods of teaching in high school. Journ. "Economics No. 10-12, 2019;

3. J. Tolordava, D de Tombe, D.Kavtaradze, G. Panizzi, P. Rizzi, E.Leigh. ტომი II. International Experience in Simulation Modeling: Economics and Business, Ecology, Sociology.

Tbilisi. TSU. 2013

4. G.David .10 strategie video per il coinvolgimento degli studenti. 2022 https://dc.wondershare.it/screen-recorder/student-engagement-with-video.html

USE OF VIDEO TOOLS IN THE EDUCATIONAL PROCESS AND CONSULTING

Zhana Tolordava
PhD, Tbilisi State University,
Scientific Head of the University Education and
Research Center of Simulation, Modeling and
Interactive Learning Methods
of the Tbilisi I. Javakhishvili State University

RESUME

This is already for a while that the frontal lectures, workshops and laboratory sessions in distant learning are conducted via the Internet in a real time mode. However, educational video films, video trainings and video tapes are relatively new forms of teaching, which have a potential of becoming indispensable tools, but they have not yet being properly established in the higher education system.

As for the educational video film or the video tape, with the recording of the business game, they have huge value. First of all, these are the features that characterize an educational video generally: technical-informational, communication-social and aesthetic.

A video film reflects documentary and research materials obtained through filming, photography and video recording. Certainly, this broadens teaching tools, since there is a visual demonstration of a real object, a system, which informs students about the problems in the system, the organization of the production proccess and the use of new equipment and technology, contributing not only to the transfer of knowledge, but also to the development of the habits of comprehending and evaluating the problem.

Keywords: frontal video lecture, videoconference technology, video films, video training, video tapes.